

თვითრეგულირებადი სწავლის უნარის ხელშეწყობა საჩხერის N2 საჯარო
სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეებში

მარიამ უჩანეიშვილი

მაგდა მიქაბერიძე

თეონა გივიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიკო ლობჯანიძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მარიამ უჩანეიშვილი, მაგდა მიქაბერიძე, თეონა გვიშვილი

თარიღი: 30.06.2022

აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს, რომელიც განვახორციელეთ საჩხერის #2 საჯარო სკოლის დანყებით კლასში, მოსწავლეთა თვითრეგულირებადი სწავლის უნარის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო თვითრეგულირებადი სწავლის უნარების შესწავლა და გაუმჯობესება საჩხერის #2 საჯარო სკოლის დანყებითი კლასის მოსწავლეებში.

პრაქტიკის კვლევის განხორციელებისას გამოვიყენეთ, როგორც რაოდენობრივი (მოსწავლეთა კითხვარი), ასევე თვისებრივი (ინტერვიუ მასწავლებლებთან და ფოკუს-ჯგუფი მშობლებთან) მეთოდები. შერჩეული ინსტრუმენტების საშუალებით დავადგინეთ, რომ მესამე კლასის მოსწავლეებს არ/ან ნაკლებად აქვთ განვითარებული მეტაკოგნიტური უნარები, რაც ხელს უშლით დამოუკიდებელ მსწავლელებად ჩამოყალიბებაში. ასევე, გამოიკვეთა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს თვითრეგულირებადი სწავლის უნარების დეფიციტი. ეს ფაქტორებია: დისტანციური სწავლება და საკლასო რეგულაციები, მასწავლებელთა არასაკმარისი ინფორმირებულობა თვითრეგულირებადი სწავლების მნიშვნელობისა და არსის შესახებ, სწავლის ეფექტური სტრატეგიების გამოყენების ნაკლებობა სასწავლო პროცესში. არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შევიმუშავეთ კომპლექსური ინტერვენცია „კვირის გეგმა“, რომელიც არის თრონტალური გაკვეთილის ალტერნატივა და ხელს უწყობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების: დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების, გაუმჯობესებას/განვითარებას. ინტერვენციების შესაფასებლად გამოვიყენეთ: მოსწავლეთა კითხვარი, ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან და მშობლებთან, ინტერვიუ მასწავლებლებთან და მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზი. ინტერვენციების შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსწავლეთა დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების უნარები, გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა და მოტივაცია საგაკვეთილო პროცესში.

მიღებული შედეგების გაუმჯობესებისა და მდგრადობისთვის სასურველია გაგრძელდეს კვირის გეგმით მუშაობა. საგანმანათლებლო ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია, პრაქტიკის კვლევის განმავლობაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება გაზიარდეს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის და გახდეს სასკოლო კულტურის ნაწილი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მეტაკოგნიცია, თვითრეგულირება, „კვირის გეგმა“.

Abstract

The given MA thesis refers to a report of a practice study that we implemented in the elementary class of Sachkhere Public School # 2 in order to encourage the development of students' self-regulatory learning skills.

The aim of our study was to clarify and improve self-regulatory learning skills in elementary school students at Sachkhere Public School # 2.

While researching the issue, we used both a quantitative (student questionnaire) and qualitative methods (interviews with teachers and a focus group with parents). By using selected research methods, we found out that third graders have less developed metacognitive skills, which interrupts them to become independent learners. According to the study we found out the main factors that led the students to the lack of self-regulatory learning skills. These factors are: distance learning and classroom regulations, teachers' lack of knowledge about the self-regulated teaching process or the ignorance of the importance of self-regulated teaching process, less use of effective learning strategies in the learning process. In order to improve the present day situation, we have developed the way of the complex intervention

called "Weekly Plan", which is an alternative of the frontal lesson and helps to improve metacognitive skills, planning, monitoring and evaluation in students. To estimate the interventions we used the following ways: Student Questionnaire, focus group with Students and Parents, Interviews with Teachers, and Analysis of Students' Papers. The interventions that we implemented in the process of teaching, significantly improved students' planning, monitoring and evaluation skills, increased students' involvement and motivation in the studying process.

To improve and sustain the final results of the study it is, it is desirable to continue working by using of the weekly plan. In order to improve the performance of the educational organization, the knowledge and the experience gained during the practice research, must be shared among the school community and to become it the part of the school culture.

Key words: metacognition, self-regulation, „weekly plan”.

მადლობა

მადლობას ვუხდით სსიპ ქალაქ საჩხერის #2 საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ ლიკა გომართელს კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის. ასევე, მადლობას ვუხდით მე-3 კლასის მასწავლებლებს თამუნა ბრეგვაძეს და ქეთი ფარქოსაძეს, მშობლებს და მოსწავლეებს აქტიური თანამშრომლობისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი კვლევის აკადემიურ ხელმძღვანელს, სოფიკო ლობჯანიძეს, მხარდაჭერისთვის, საჭირო სამეცნიერო ლიტერატურის გაზიარებისა და სათანადო უკუკავშირისთვის.